ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5427496

ნომერი: AR1816142

თარიღი : 07.04.2021

გაცემის თარიღი : 01.06.2021

გაცნობის თარიღი : 02.06.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ზემო ფონიჭალის , ავტობუსების მოსაცდელთან;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- ბულაჩაურის ქუჩა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სავაჭრო ობიექტები
  - მაღაზია

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 7 აპრილიდან №AR1816142 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ №01.18.13.010.032 მიწის ნაკვეთზე მაღაზიის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

თქვენს მიერ წარმოდგენილი კომპანია შპს ჯვპ-ს წერილი 10.08.2021წ. OG21-0483036 წერილი მომზადებულია სხვა მიწის ნაკვეთზე. რაც ამჯერად სამსახურისთვის მისაღები არ არის, მოგახსენებთ რომ ვინაიდან მიწის ნაკვეთზე ვრცელდება წყალმომარაგების ძირითადი ქსელის შეზღუდვა, წარმოსადგენია, შპს ჯვპ-ს თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით.
ამასთან მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება ხაზობანი ნაგებობები: სს „სილქნეტი“ს საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ნაგებობა (ს/კ N 01.00.324); და შპს „ჯვპ“ს საკუთრებაში არსებული მილსადენი (ს/კ N 01.01.834) წარმოსადგენია ყველა ხაზოვანი ნაგებობის მესაკუთრეთა თანხმობები, თანდართულ დამოწმებულ გენ გეგმებთან ერთად.

ვინაიდან იგეგმება ნაკვეთზე არსებული ხე ნარგავების მოჭრა, დამატებითწარმოსადგენია არსებული ხე–ნარგავების საექსპერტო დასკვნა და ტაქსაცია. აღნისნული დოკუმენტაცია სამსახურის შუამდგომლობით გადაგზავნილი იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.
თქვენს მიერ წარმოდგენილი ხე–ნარგავების საექსპერტო დასკვნა შეწუსაბამობაში ტოპოგრაფიულ გეგმაზე ასახულ შენობების როდენობასთან. საჭიროა დოკუმენტაცია მოყვანილ იქნას ურთიერთ შესაბამისობაში.

- დამატებით საჭიროა წარმოადგინოთ ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ, სავარაუდო გამწვანების პროექტის აღწერით (გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვის გაცემისას) და ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2021 წლის 7 აპრილიდან №AR1816142 განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.